Erpressung

Nach **deutschem Recht** (§ 253 dStGB) ist Erpressung ein Delikt, bei dem der Täter einen Menschen rechtswidrig mit Gewalt oder durch Drohung mit einem empfindlichen Übel zu einer Handlung, Duldung oder Unterlassung nötigt und dadurch dem Vermögen des Genötigten oder eines anderen einen Nachteil zufügt, um sich oder einen Dritten zu Unrecht zu bereichern. Nach **georgischem Recht** (Art. 181 gStGB) handelt es sich um ein Delikt, bei dem der Täter die Übertragung einer fremden Sache oder eines Eigentumsrechts oder eines Eigentumsnutzungsrechts fordert, die einhergeht mit der Androhung von Gewalt gegenüber dem Opfer oder seinem Angehörigen, mit der Androhung von Zerstörung oder Beschädigung ihrer Sachen oder der Veröffentlichung von diffamierenden Informationen oder andere Informationen, die die Rechte des Opfers erheblich verletzen können. Im **georgischen Recht** ist somit allein die Drohung bezogen auf einen bestimmten Zweck bereits eine vollendete Straftat (Tätigkeitsdelikt). Für die Vollendung der Erpressung muss im **deutschen Strafrecht** dagegen ein Vermögensnachteil nicht nur bezweckt, sondern auch entstanden sein (Erfolgsdelikt). In § 253 dStGB ist die Rechtswidrigkeit ein normatives objektives Tatbestandsmerkmal. Die erstrebte Bereicherung ist rechtswidrig, wenn der Täter auf den Vermögensvorteil keinen Anspruch hat. Die objektive Rechtswidrigkeit ist in Art. 181 gStGB kein Tatbestandsmerkmal de lege lata, wird jedoch de lege ferenda gefordert. Die allgemeine Rechtswidrigkeit der Erpressung wird sowohl im deutschen als auch im georgischen Strafrecht als weiteres Straftatmerkmal geprüft. (Eki/Kmt)

გამოძალვა

გერმანული კანონმდებლობის (გსსკ-ის 253-ე პარაგრაფი) მიხედვით, გამოძალვა წარმოადგენს დანაშაულს, რომლის დროსაც პირი მართლსაწინააღმდეგოდ, ძალადობით ან მნიშვნელოვანი ბოროტების მუქარით ადამიანს აიძულებს, შეასრულოს, მოითმონოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება და ამითი იძულებულის ან სხვის ქონებას ზიანს მიაყენებს საკუთარი ან მესამე პირის უსამართლოდ გამდიდრების მიზნით. **ქართულ კანონმდებლობაში** (სსსკ-ის 181-ე მუხლი), გამოძალვა არის დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნას, რასაც თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები. **ქართულ კანონმდებლობაში** კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებული მუქარა უკვე დასრულებული დანაშაულია (ფორმალური დანაშაული), **გერმაულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში** კი გამოძალვის დასრულებისთვის მატერიალური დანაკლისი არა მარტო გამიზნული, არამედ წარმოშობილიც უნდა იყოს (შედეგიანი დანაშაული).

გსსკ-ის 253-ე პარაგრაფის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ნორმატიული ობიექტური ელემენტია. სასურველი გამდიდრება უკანონოა, თუ დამნაშავეს მატერიალური სარგებლის მიღების უფლება არ აქვს. სსსკ-ის 181-ე მუხლით, მართლწინააღმდეგობა de lege lata დანაშაულის ელემენტი არაა, მაგრამ მას de lege ferenda მოითხოვენ. გამოძალვისას ზოგადი მართლწინააღმდეგობა დანაშაულის ნიშნად განიხილება როგორც გერმანულ, ისე ქართულ სისხლის სამართლის სამართალში. (Eki/Kmt)